

140
1965

3

1965

0
7
C
A
M
A
3





ჩვენ ჩვენი ქვეყნის ქვეყნის

მარიამ ბარათაშვილი

...და როცა დამის დარჩენილ კარგებს აპკეცავს მთაზე დილის ნათელი,— ჩვენს სასთუმალთან ღამენათევი ქალი შეადებს მთაწმინდის კარებს, რომ ისევ ხმლითა და სახეე თასით, დადგეს, ამაღლდეს თბილისის თავზე.

განთიადიდან, როგორც მართვენი, აიშლებიან მისი შვილები... ბუღდეს სტოვებენ გოლიათები, თავთავის ბილიკს მიაშურებენ... და ყველას,—ქალს თუ ვაჟკაცს დალოცვილს,—

ვიტო უზიავო რამ ავგაროზი,— თან მიაქვს დედის გულის ნაწილი...

ასე ადიან ხარაჩოვებზე, რომ ზე ასწოონ თავი თბილისის... მყოდებიან ბაღებს, მოედნებს, სკოლებს, ქარხნებს და, კიდევ ვინ იყის,— ვის საღ მიიყვანს მისი ბილიკი...

...დგას ობელისკი ნარიყალაზე— ო, არა, არა! დგას თვითონ ქალი, ქართველი ქალი; და მოგონების ფილას ავებებს მწარით და ტბილით, ტბილით და მწარით...

...შორს კი დღეები, ვით აჩრდილები, ზოგნი—ლალისფერ მოსასხამებით, ზოგნი—შაგუნელი მოსასხამებით დგანან, წამწამებს ახამხამებენ... მათ უკვირთ ალბათ:

როგორ ავიდა ან როგორ დადგა იმ მთის კალთაზე ქართველი ქალი. რად უკვირთ ნეტაე?!—

ეს ის დედაა—თბილისის დედა, მტერს რომ უტევედა თავგანწირული... გრდემლსაცა სკემდა, ანბანსაც სწერდა და შეილსაც ზრდიდა ძილისპირულით... რომ ნარცებნარ დღეთა ხილვისთვის გადაერჩინა დედათბილისი.

...და ახლა, როცა ბინდისფერ კარგებს აპკეცავს მთებზე დილის ნათელი,— ჩვენს სასთუმალთან ღამენათევი— შეადებს ქალი მთაწმინდის კარებს... მტრისთვის ხმალი აქვს, მოყვრისთვის თასი,— სიყვარულით და შარბათით სახეე!... ..დგას ობელისკი თბილისის თავზე!





8976

ჩვენში ახლა გაზაფხულია. დნება თოვლი, ყინულისაგან იწმინდება მდინარეები, თავგამეტებით ეხეთქებიან ლოდებს მთიდან მომსკლარი, გაავებული ჩანჩქერები, ზამთრის ძილისაგან იღვიძებს მშობლიური მიწადორ-ველი; უკვე გაჩნდნენ გაზაფხულის პირველი პატარმლები ია და ენძელა, შა და შა, იჭყიელებს მერცხალი; ყველაფერში იგრძნობა, რომ თავის უფლებებში შევიდა გაზაფხული

ამ გაზაფხულის ერთ-ერთ ნათელ დღეს შენ მოწიწებით დაჰკრეფ ყველილებს, მოამზადებ უკვე დიდი ხნის შეგულებულ პატარა საჩუქარს და ძღვნად მიართმევ შენთვის ყველაზე ძვირფასსა და ახლობელ ადამიანს—დედას.

დედა—ვამბობთ და თვალწინ წარმოგვიდგება მისი ნათელი სახე, კეთილი, შუქჩამღვარი, ჩვენდამი უსაზღვრო სიყვარულით ასლავს თვალები, ვხედავთ იმას, ვის სახესაც პირველად აღიბეჭდავენ ჩვილის თვალები,—იმას, ვინც დარაჯად უღვას თქვენს ტკბილ ძილს, ჩვენს მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯის სიხარულს—ჩვენს პირველ სიხარულსა და სიყვარულს.

„ხოტბა შევასხათ ქალს—დედას, ყოვლისმძლე სიცოცხლის დაუშრეტელ წყაროს! უღედოდ არ იქნება არც გმირი, არც პოეტი... მსოფლიოს მთელი სიამაყე დედებისაგან მომდინარეობს!“—ამბობდა მაქსიმ გორკი.

და განა მარტო გორკი; მსოფლიოს არ ახსოვს არც ერთი, ცოტად თუ ბევრად გამოჩენილი ხელოვანი, მწერალი თუ ყალმის ოსტატი, რომელსაც ხოტბა არ შეგესხას ქალისთვის—დედისთვის, იმისთვის, ვინც თვითონაა სიცოცხლის წარმომშობი და მატარებელი.

მრავალმხრივია და დიდი საბჭოთა ქალების საქმიანობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არ არსებობს სახალხო მეურნეობის და კულტურის არც ერთი დარგი, სადაც ქალებს თავიანთი შრომითი გმირობით, საქმისადმი შემოქმედებითა და მოკიდებულებითა და ოსტატობით არ გაეთქვათ სახელი. ის ნაზი და სათუთი ხელები, რომლის სითბოშიც ყველა თქვენგანი იზრდება, საჭიროების შემთხვევაში ვაჟკაცის მკლავივით ფოლადის სიმტკიცეს იძენს, მისი გონება მეცნიერების ჯერ მიუწვდომ მიჯნებს ეკიდება, და მთელ მოწინავე კაცობრიობასთან მხარდამხარ იბრძვის, რომ უღრუბლო იყოს ცა, რომ ყოველ დილით, დედამიწის ყველა კუთხეში სიხარულით გაიღოს სკოლის კარები, რომ ბავშვებმა ლაღად შესცინონ მზეს, სიცოცხლეს, სიხარულს.

დად მუდამ იყოს მზე, ეს ცა, ეს ბედნიერი ბავშვობა და დედის კეთილი ღიმილი!



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შრომის და სპორტის სამინისტროს დასავლეთ საქართველოს რეგიონალური საბჭოს განცხადება

ქაქა

3 • 2 3 2 0 1 • 0 0 5

3 აპრილი 1918 წ. 430 მ.





ძვირფასო ბავშვებო, გაზაფხულის მხიარულ დღეს—21 მარტს, ვდღესასწაულობთ სახალხო ზეიმს—საბჭოების არჩევნებს. დღეს, ჩვენს რესპუბლიკის ხალხი ადგილობრივი ძალაუფლების გასაღებს აპარებს თავის ყველაზე ღირსეულ შვილებს.

მშრომელები საუკუნეების განმავლობაში ოცნებობდნენ თავისუფლებაზე, მზაგერლებთან სისხლისმღვრელ ბრძოლაში კვდებოდნენ ქვეშაღიტი სახალხო ძალაუფლებისათვის. იყო დრო, როცა კომუნისში, რომელიც ასე ახლო და რუალურია ახლა, „არჩილივით დადიოდა ევროპაში“ და მხოლოდ რამდენიმე გაბედული მებრძოლის ცნობიერებაში არსებობდა, რაც უმნიშვნელო წვეთი იყო კაცობრიობის უზარმაზარ ოკეანეში... მაგრამ როგორც, ყველაზე დიდ ყინვას არ შეუძლია შეაჩეროს გაზაფხულის კანონზომიერი მოსვლა, ისე ვერავითარმა შაგზებელმა ძალამ უსასტიკესმა წინააღმდეგობამ ვერ შეაჩერა კომუნისზმის იღვის კანონზომიერი გამარჯვება.

პირველად რუსეთის მშრომელებმა, ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით აანთეს დიდი ოქტომბრის ჩაუქრობელი ვარსკვლავი და ჩვენს სამშობლოში ქვეშაღიტი სახალხო ძალაუფლება დამყარდა.

ჩვენი საბჭოები, რომელშიც განსახიერება პოევა ხალხის ძალაუფლებამ, საბჭოთა წყობილების საფუძველია. დღეს საბჭოები ხალხის უფლებათა ყოვლისმომცველი ორგანიზაცია, მისი სიმტიციისა და ერთიანობის სარკეა.

ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ამოცანათა გადაწყვეტაში სულ უფრო და უფრო მეტ მონაწილეობას მიიღებენ მშრომელები, რომლებსაც უკვე გამოუფუშვდათ სახელმწიფო მართვის ჩვევები.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნები მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში.

რადგან საბჭოები ხალხის სრულუფლებიანობის საუკეთესო გამოხატულებამა, მათი ძლიერება ხალხის მასებთან მუდმივ კავშირშია. ამიტომაც მათ აქტიურობასა და ინიციატივაზე, მათ ორგანიზატორულ და აღმზრდელი მუშაობაზე ხედვითად არის დაზოკიდებული ჩვენი სამშობლოს ძლიერება, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა.

ჩვენი ხალხი დიდ, საპასუხისმგებლო ამოცანებს უყენებს ადგილობრივი საბჭოებს, მოითხოვს მათგან სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში პრობლემების დროულად გადაწყვეტას, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის, მისახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების.

ჩვენი რესპუბლიკის მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელეგენციის 45 ათასზე მეტი წარმომადგენელი ადგილობრივი საბჭოების დეპუტატია. მათ შორის მუშა—6.265, კოლმეურნე—20.971, ქალი—19.697. ისინი ყოველდღიურად ხედებიან მშრომელთა ფართო მასებს, მათთან ერთად ჰქნიან მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეებს, იზრდენ წარმოებას და დაწესებულებებში ყოველგვარი ბიუროკრატიული გამოვლინების წინააღმდეგ.

წლებანდელი არჩევნები კიდევ უფრო განამტკიცებს ადგილობრივი საბჭოების, რადგან, საბჭოთა საარჩევნო სისტემა—ყველაზე დემოკრატიული მთელს მსოფლიოში—საშუალებას იძლევა ავიჩიოთ ღირსეული, ავტორიტეტული ადამიანები, რომლებიც აღჭურვილი არიან დიდი ნდობითა და უფლებებით.

ჩვენს ქვეყანაში დეპუტატი ხალხის ქვეშაღიტი წარმომადგენელია. ის იცავს ამომრჩეველთა ინტერესებს და უშუალო კავშირი აქვს ხალხთან, ანგარიშვალდებულება მის წინაშე, ცხოვრებაში ატარებს პარტიის პოლიტიკას, საბჭოთა კანონებს და მასებთან ერთად დაულალავად იზრძვის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

მაღალი კომუნისტური შეგნებულობა, იდეურობა, ხალხისადმი უანგარო სამსახური საბჭოთა დეპუტატის განუყოვლები თვისებაა. ამიტომაც უკვე ის ხალხს, ამიტომაც მათჩინა იგი მისი ინტერესების გამოხმატვლად. ამიტომაც უწოდებს დეპუტატი თავის თავს ხალხის მსახურს, ამიტომ თვისის საბჭოთა ხალხი ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს დიდ სახალხო ზეიმად.

ბავშვებო, ყველა თქვენგანმა იცის, რომ ამ დღეებში განსაკუთრებული ფუხფუხის და მზაღება ავტოტუნტეებსა და საარჩევნო უბნებში, უფროსებთან ერთად, თქვენც უნდა იქნებით წვლილი შეგაქვთ ამ დიდი სახალხო ზეიმის სამზადისში, ეხმარებით საარჩევნო უბნების მორთვა-მოწყობაში, ემზადებით საზეიმო კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით, უტრნალის რედაქციამოში მოგიწვით საკარტელოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზინიდიზ კვამუცაძე—იგი გეხალურებთა ამ არჩევნების დიდ, სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე.

ამ მოთხრობას ჩვენს კონკურსზე დაბეჭდვის რეკომენდაცია მიეცა.

მორჩი კაჟალმაჰი



ეზო მარტო ჩაეიდა ზღვის ნაპირზე, იგი ნელა, არჩინად მიაბიჯებდა და თან ხელში ფოტოაპარატს ატრიალებდა. სწრაფად გაიხანდა ტანზე და წყალში გადაეშვა.

— ეს აზრი მეც დამებოდა, — მითხრა გოჩამ ჩურჩულთი და თავისი პატარა ჭოგრი მომიარეჟვა, — მივრამ შენ დამასწარი თქმა.

— არ შეიძლება, ყველაფერში არ შემეცილო, — მივეუბე წყნით.

გოჩამ ზღვის ნაპირი მოათვალიერა.

— ფოტოაპარატს კარგად ხედავ? — ვკითხე მე.

— როგორ არა, — თქვა გოჩამ, — მშვენიერად ვხედავ.

მეც გარკვევით ვხედავდი ყველაფერს, ვხედავდი რეზოსაც, იგი გახალისებით მიცურავდა ზღვაში და ერთბედავ არ მოუხელიდა ნაპირისაკენ.

— შენ რეზოს ადევნე თვალი, — ვუთხარი გოჩას, — ჭოგრით უკეთ დაინახავ. ფოტოაპარატს კი მეც კარგად ვხედავ.

გოჩამ ახლა რეზოს დაუწყო თვალოვალი.

გავიდა ცოტა ხანი.

გოჩამ ჩაილოპარაკა:

— ხალხს შეერია... სწორედ ისე, როგორც დავაირებთ. უბევ ვეღარც კი ვარჩევ სხვაში.

ზღვის ნაპირზე სწრაფად მატულობდა ხალხი. რეზოს ტრასაცმლის ძრვლები უკვე რამდენიმე დამსვენებელმა ძოიკალოთა. ძოივს ვხედავდი ფოტოაპარატს.

— მგონი მიხვდნენ, რომ ფოტოაპარატი საგანგებოდ არის დადგებული.

დრო ხელა, ძალიან ნელა გადიოდა.

— არაფერი გამოვა, — თქვა უცებ გოჩამ და ჭოგრი მოწყნად დაღრა, — ჩავიდეთ, ვიბანაოთ მაინც...

— არა, — მივეუბე მე, — სალომომდე რომ ვიქვდ, ფეხსაც არ მოვიცვლი. შენ თუ გინდა, წადი.

გავიდა ორი საათი, საცოდავად ვიხრუტეობოდი იმ პაპანაქებში. მორიგეობით ვდგებოდი. ფარდულში წყალს ვსვამდი და თვალოვალს განვაგრძობდი. ზღვის ნაპირი კი ამ ხნის განმავლობაში სულ გაივსო ხალხით.

უცებ, წამოვხტი და დავიძახე:

— ფოტოაპარატი აღარ არის! ვეღარ ვხედავ!

გოჩამ ჭოგრი მომიარეჟვა. აპარატი ვერც მან დაინახა.

— ნუთუ გამოგვეპარა, — თქვა გოჩამ ნაძალადევი სრმშვიდით. თან ისეთი თვალით გადმოხედა, ვიგრძენი, სამუდამოდ დიმიანსოვრებდა ჩემს ამ დოყლაპობას. — ჩქარა, ქვევით ჩავიდეთ. ისიც თუ დიოკარგა, რეზოს ვინ გააუბრჩედა...

რამდენიმე ნაბიჯით ჩავინაცვლეთ ნაპირისაკენ. ახლა გარკვევით დავინახეთ: იმ ადგილას, სადაც რეზომ ტანზე გაიხანდა, ერთი ბიჭი იჯდა და ხელში ფოტოაპარატს ატრიალებდა, ბოლოს გახეთქი გაახვია და, თითქოს არაფერიო, ისე გვერტზე დაღრა.

— გაემა, — თქვა გოჩამ სიცილითა და ოდნავ აღელვებით, — ახლა ცოტას მოიცდის, შემდეგ კი ადგება და გაიპარება.

მართლაც, რამდენიმე წუთის შემდეგ ბიჭმა შეხვეული ადლო, მშვილად წამოიღო და ნელი ნაბიჯებით მოსცილდა ნაპირს, მერე აუჩქარა, სწრაფად ჩაგვიარა და ქუჩაში გავიდა.

იქვე ცისფერი „ვოლგა“ გამოჩნდა, მაშინვე ვიცანი უშანგი და მანქანისაკენ გავეშურე. ყველაზე უფრო იგი გამოგვაღებოდა ახლა. ქურდიც იქითენ გაემაოთა. უშანგიმ კარი გაუღო და ქურდი შიგ ჩაქდა. წამით დაიშინო და შევეუყმინდი. მერე მანქანასთან მივირბინე; სწრაფად გავიდე უქანა კარი და ჩავკეტი. მალე გოჩაც იქ გაჩნდა.

— გავასერინე, რა, — ვუთხარი უშანგის, როცა ოდნავ დამიწყხარდა გულსიცემა, — ეს ჩემი აზხანავია, — გოჩამ მივუთითო.

— გავასერინო? — შეუყმინდა უშანგი და შეგვათვალეირა. მერე ქურდს მიუბრუნდა.

— იყოდე ფუნთუშა?

— ვიყიდე, — მიუგო მან და შეხვეული აჩვენა.

მე და გოჩამ ერთმანეთს შეგხედეთ და სმენად ვიქეცით.

— კარგი? ღირს? — კვლავ იკითხა უშანგი.

— არა უშვას... იქმევა.

— ქვევით იყიდეთ? — ვკითხე ქურდს.

— ჰო, — მომიგო მან.

ერთ ხანს ორივენი სდუმდნენ. მერე უშანგი ჩვენსკენ მობრუნდა და თქვა:

— ჩაიბო ახლა, ხომ ხედავთ, არა მცალია. სხვა დროს გავასერინებთ.


მე შევეყმინდი, გოჩამ მანიშნა — გადმოდიო. კარი უსიტუვოდ გავადე და გადმოვიდე. მანქანა რომ დიდირა, გოჩა სიმოვნებისაგან ხელეზის სრესას მოპყვცა.

— ახლა ხომ ჩავვივარდა ხელში. ხომ გაემა...

სახლში მარტო ვიყავი. ჩემს ოთახში ვიდექი ფანჯარასთან და ქუჩას ვაკუყურებდი.

უცებ დავინახე:

ქუჩაში ცისფერი „ვოლგა“ გამოჩნდა, ჭიშკარს მოუახლოვდა და გაჩერდა. მანქანიდან უშანგი გადმოვიდა. ჭიშკართან გაიარ-გამოიარა, თან ეზოში იხელებოდა. შემდეგ



შატავარი ჯამალ ლოლუა

* დახასრული. იხ. „პიონერი“ № 2.

სარკმლიდან ხელი შეჭყო მანქანაში და სამჯერ გაისმა საყვირის მოკლე, მკვეთრი ხმა.
ფანჯარას მოვიკვლი. კიბეზე ჩავედი და ქიშკარს მი-
ვუხალხოვდი.

— გაპარობა, — მითხრა უშანგიმ, — ლილი შინ არ არის?

— არაა, — მივეუბრე მე, ქიშკარი გავაღე და მანქანასთან მივედი.

უშანგი ერთ ხანს სდუმდა, მერე ნაძალადევი სერიოზულ-
ლობით თქვა:

— ისე, უძიებლო კი ყოფილხარ, კაცმა რომ თქვას! მამ, არ მივიტყვ კომკავშირში ხომ?

მე არაფერი მითქვამს. გავბედი გულგრილად ვთავალო-
ებრებიდ მანქანას.

— ლილის დღეს დაავიანდება, — ვთქვი ბოლოს, — შეიძლება სულაც არ მოვიდეს. სტუმრად არის წასული.

— ჰოო, — ჩაღაპარაჲა უშანგიმ, ნელა შემოუარა მან-
ქანას, მერე სატესთან დაჯდა, მაგრამ ძრავა არ ჩაურთავდა. კარავა ხანს იჯდა ასე.

მე სარკმელთან მივედი და უშანგის ციციბი:
— ფუნთუშა შეჭამეთ?

მან გაოცებით შემომხედა.

— ის ფორტაპარტი რეზისი იყო, — შმივდავ ვთქვი მე, — რუხო ჩემი ამხანაგია, შორიდან ვეფთვალფავლებ-
დით და დავინახეთ, როგორ მოიპარა იმ ბიჭმა...

— ვინ ბიჭმა?

— აი, იმან — ფუნთუშა ვიყიდეო, რომ გიხებრა... ვა-
ზეთში ფორტაპარტი ჰქონდა და შეზეუული.

— შეუძლებელია! — წამოიძახა უშანგიმ, კარი გააღო და მანქანიდან გადმოვიდა. — სისულელეს ნუ ლაპარა-
კობ!

— ასეა და. — ვთქვი მე, — ასეა...
უშანგი სდუმდა და ნერვიულად იკვნეტდა ტუჩებს. შემდეგ ხმადამლა მკითხა:

— ნუთუ მართლა მოიპარა?

— მართლა, — მივეუბრე მე, — ჩემი თვლით დავინახე. აპარტი რეზისია... გოჩაც იქ იყო...

უშანგი კვლავ სდუმდა რამდენიმე წუთს. შევნიშნე, რო-
გორ გამოეჩინა მისი საფეთქლებზე ოფლმა.

— ნუ გეშინია, — თქვა ბოლოს, — თუ მართლა ასეა, აპარტი არ დაიკარგება. მე გამოვართმევ და მოგიტან. მი-
წაში რომ ჩაძვრეს, იქაც ვიპოვი...

მე ხმას არ ვიღებდი და თვალუბში შევყურებდი უშან-
გის.

— წაშლი, ვგაასერინებ, — მითხრა მან და მანქანის კარი გამოაღო, — ლილი, ალბათ, მართლა აღარ მოვა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მანქანა ორსართულიანი სა-
ხლის წინ გაჩერდა.

— ავიდით... აქ ცხოვრობს ის ბიჭი. იქნებ შინ დაგებუ-
დეს.

მეორე სართულზე ავიდით. უშანგიმ კარზე დააკაუნდა არავინ გამოხმარებოდა. შემდეგ კიბიდან გასაღები ამოი-
ღო და გააღო.

ოთახში ტანსაცმლის კარადა იდგა. ერთი საწოლი და ერთი მაგიდა. მაგიდაზე ეყარა პაპირისის ცარიელი კო-
ლოფები.

უშანგიმ ოთახი შოთავალიერა.

— მოვებნით. აქ ეწინება სადმე.

ტანსაცმლის კარადასთან მივიდა. იქედან სამ- ფოტო-
აპარტი გამოიღო და მაგიდაზე დადო.

— იცნობ, რომელია?

— ეს არის, — მივეუბრე მე და „ზორკი“ ვიღე.

— ჰო, — თქვა უშანგიმ, — ცხადია, ეს იქნება, მაგრამ ორე მისია, საფეთხარი. ნეტა რად უნდოდა, რომ იპარავდა სულმა თუ წასულია იმ უბედურს. ეს კი — ჩემმა შეხედე

— „იკივი“. ხმა არავისთან დასმარა, რაც იყო, იყო... იმ ბიჭს ტყავს გავაპრობე. მეცოდება, თორემ კიბეზე რომ ჩა-
სვავდი, მაშინ ისწავლის ტყუას.

ფორტაპარტი კვლავ კარადაში შეინახა, მერე კარ-
თან მივიდა და მითხრა:

— ცოტა ხანს მოვიადრე აქ. მეზობელთან ტელეფონი. ერთ კაცს უნდა დაეურყეო... ახლავე მოვალ.

უშანგი გვიდა. ძე კარადასთან მივიდა. „იკივი“ გამო-
ვიტანე. საყვირ გამოვიტოვე და სწრაფად გადავხვედი ფე-
რი. მერე აპარტი გავხსენე, კაბეტი ამოვიღე და კიბეში ჩავედი. ფორტაპარტი კვლავ თვის ადგილას დადედი. ნე-
ლა ჩავეყვი კიბეს და ქუჩაში გავედი.

მე და ლილი ბაზრისკენ მიმავალ ავტობუსს ველოდე-
ბოდით. ლილიმ ბაისს შესასვლელთან დამინახა და სანამ არ წამოვეყვი, არ მომეშვა. მარტო წასვლა მეზარებოდა, —
და თითქმის ძალით წამომიყვანა. მაღე. ალბათ გოჩა და რეზოც მოვლენ და ამაოდ დამჩვენებენ ცდას...

უტეც გოჩა დავინახე. თვალი მოგვეკრა და ჩვენსკენ გა-
მოვიპარა.

— აი, შენი გოჩაც, — მითხრა ლილიმ, — მეტი რაღა ვინდა. ახლა როგე წამოხვალთ.

— რუხო? — იცოთხა გოჩამ. როცა მოგვიანსლოდა. — რუხო არ მოსულა?

— არ მოსულა, — მივეუბრე მე, — რამდენი ხანია აქ გელოდებით.

მოიპრდაპირე მხარეს მალაზია იყო. გოჩა ზურგიტ ბა-
ლის რკინის ღობეს მიყვარდნო და მალაზიის წინ მიმავალ ხალხს დაუწყაო თვალღიერება. თან დრო და დრო ბაღის შესასვლელისაკენ იხედებოდა.

— ხედავ? — წამოიძახა უტეც გოჩამ და შადრეკანისა-
კენ გაიშვირა ხელი. მეც იქით გავიხედე და რეზოს ფო-
რტაპარტი რომ მოიპარა. ის ბიჭი დავინახე.

— ვიცანი, — ვთქვი მე, — ხომ ისაა?

გოჩამ ფეხზე ფეხს დამადაცა. თან თვალთ მანიშნა. — არავფერი წამოკიდესო და თათქმული გვეჭონდა. ჯერჯე-
რობით საიდუმლო არავისთვის გავეჭმილა.

ლილიმე მიიხვდა უცნობისაკენ და მერე გაოცებით შეგვეკოო თვალი.

— თქვენ იმ ბიჭს საიდან იცნობთ?

— სალაც შეგებუდრია, — თქვა გოჩამ. ისე, გაცე-
ნობა.

— ჩვენს ინსტიტუტში სწავლობდა — თქვა ლილიმ. — შარხის გარკიტეს, პირველი კურსიდან. მგონი, ერთსულ თხუთმეტდღიანი პატარობაც მოიხანდა. უფრო მეტიც უნდა მიესაჯათ. მაგრამ თქვენმა მასწავლებლებმა — ანოც გოგიტყველმა უშველა. — მიაი ბიჭსმეილა.

— რა ჰქვია? — იკოთხა გოჩამ.

— მგონი, თემურია... ჰო, თემურია ჰქვია. კოგიტა-
ელი.



— უშანგი ხომ არ იცნობს თემურს? — ვკითხე ლილს.
 — უშანგი? — გაიოცა ლილი, — უშანგის მასშახს რაა საკმე აქვს.
 გიჩას თვალით ვანიშნე, — გვერდზე გავიდეთ-მეთქი. ლილის მოცვილით და ჩურჩული დავიწყეთ.
 ამ დროს ავტობუსი გამოჩნდა. ლილიმ გადმოგვხედა და დაგვიძახა:
 — არასად გამეპაროთ. აი, ავტობუსიც მოდის.

ჩვენს პირდაპირ ორსართულიანი შენობა იდგა. შესასვლელში დიდი ასოებით ეწერა: მილიცია.
 — სამივეს რა გვინდა, — თქვა გოჩამ, — მოდი, რეზო მიგვზავნოთ, ფრიადოსანია და ყველაფერს კარგად იტყვის.
 — არა. — თქვა რეზომ, — ვინც დაიწყო, იმან დაამთავროს.
 — ჰო. მართლა, — თქვა გოჩამ, — ზურა უნდა წავიდეს.
 — რატომ? აქი შენც დაგებდა ეს აზრი. გახსოვს, რომ მეცილებოდი?
 — აღარ გეცილები, — წაღი, შენც ხომ იყავი ერთ დროს ფრიადოსანი. შენც კარგად იტყვი ყველაფერს.
 — წილი ვყაროთ, — ვძღვი მე.
 — არა, — თქვა გოჩამ, — შენ გეცუტენის და შენ წაღი! შოლს მაინც ვყარეთ წილი. რეზოს მოუწია წასვლა; მან ერთ ხანს იყოფანა, მერე გაუბედვად გადაჭრა ქუჩა. ძლივს აათრია ფეხები კიბეზე.
 ჩვენ ღმილით გავაყოლეთ თვალი. მერე ქუჩას დავეყვიეთ ნელი ნაბიჯით. დრო და დრო მილიციის შესასვლელისკენ ვიხედებოდით.
 უკებ, შეგჩრდილთ და უშწყოლ აგწრიალდით. ქვევლიან, პირდაპირ ჩვენს შესახვედრად, ანიკო მასწავლებელი მოდიოდა. გვერდით ოთხიოდე წლის გოგონა მოჰყვებოდა.
 — სად დავიძალით? — თქვა გოჩამ ჩურჩულით.
 — სად უნდა დავიძალით, — მივუგე მე, — ჩვენ ხომ არაფერს ვაშვევთ.
 ანიკო მასწავლებელმა შორიდანვე შეგვინიშნა. როცა ახლოს მოვიდა, — შეჩრდა და ღიმილით თქვა:
 — სალაში მუშეცეტერებს... მესამე რა უყავით?
 — სალაში მასწავლებლო, — მივუგე მე.
 — სალაში, — ჩაიბუზღუნა გოჩამ.
 — რეზო რა უყავით?
 წამით შევყოყმანდით. მერე მილიციის შესასვლელისაკენ გავხედეთ:
 — იქ არის, — ვთქვი მე.
 — იქ?... — გაიოცდა მასწავლებელი, — იქ რა უნდა დააშავა რამე?
 — არა, — დაიბნა გოჩა, — კი არ დააშავა... არაფერი არ დაუშვევია.
 — ქურდები დავიჭირეთ, — მივეშველე მე, — ფოტო-აპარატი მოიპარეს და დავიჭირეთ. რეზოს ფოტოაპარატი... სხვაუ ბევრი რამ მოიპარეს ზღვის ნაპირზე... რეზომ იქ უნდა შეატყობინოს.
 მასწავლებელი გაოცებული გვაშვე და.
 — ქურდები? — გაიმეორა ბოლოს.
 — დიახ, ქურდები, — თქვა გოჩამ.
 — ფოტოაპარატი მოიპარეს? — გაიმეორა მასწავ-

ლებელმა, — მერე, თქვენ რა იცით, ვინ მოიპარა?

— ვუღარაჯეთ, — მივუთხრე მე, — დაედურაჯალი და ვნახეთ, ვინც ყოფილან.

— გვარებიც გაივით?

— გვარები?... გვარები არ ვიცი, — ამოვღერდე მე. საბურის ღრის გოგონა გაპარულიყო და უკვე შუა ქუჩაში მიფარფარებდა.

მასწავლებელმა თვალი შეასწორა თუ არა, მაშინვე უჩან დაედევნა.

— იქნებ არც ისე ცუდად არის საქმე? — ვფიქრობდი მე. — იქნებ სულაც არ იყო აუცილებელი მილიციისი მისვლა?

გოჩამ ხელი მტაცა.

— წამო ჩქარა!.. ჩქარა!

ქუჩა გადავირბინეთ. პირველ საირთულზე, კარგითან. რომელზედაც თვითონ წარწყურა: „მილიციის უფროსი“, რიგი იყო. რეზოს წინ უძვე აღარავინ იდგა. ჩვენ თითქმის ერთდროულად გვევლით მას და კარგბს მოვაცილებთ.

მანქანამ სვლა შეანელა.

გზის ნაპირზე გავიდა და გაჩერდა. უშანგიმ სარკმლიდან თავი გამოჰყო და მკითხა:

— აქ რას უცდი?

— შენ გიცდი, — ვუთხარი მე. მანქანას შემოვუარე, კარი გაავლე და შიგ ჩავუქეცი. შემდეგ დავემბატე:

— მაგვნივ გაუხვით, იქ ლილი გველოდება.

— მართლა? — გაუკვირდა უშანგის და კითხვის თვალით შემხვეულივითა, შემდეგ მანქანა დასძრა და მარჯვნივ გაუხვია. აქ ქალაქის ცოცხალ ბნელი ქუჩები იწყებოდა.

უკვე ლამდებოდა.

— რა მოხდა? — იკითხა უშანგიმ, — ლილის აქ რა უნდა?

— ისეთი არაფერი... აქ დაგვხვდება. შემდეგ კი შინ წავეთან.

მანქანა ნელა მიდიოდა მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში.

— მარცხნივ, — ვკარნახობდი მე, — ახლა მარჯვნივ...

პირდაპირ, გააჩერე.

კარი გაავლე, გადმოვედი და ავტომობილის წინ დავედგე.

უშანგიც გადმოვიდა.

— სად არის ლილი?

— ლილი აქ არ არის, — მივუთხრე მე, — აქ მარტო მე ვარ.



— შენ? ამ სიშორეზე ტყუილად რას წამომიყვანე?

— ტყუილად არა, — ვუთხარი მე, — შენთან მოსილა.

პარაკებულ მაქვს.

ჯიბიდან ფოტოსურათი ამოვიღე და გავუწოდე:

— ამას იცნობ?

სურათი გამომართვა და დახედა.

— კარგად ვერ ვხედავ, — თქვა მან, — სინებელია... ვი-

ლაც ველოსიპედისი ბიჭია... აჰ, ეს ხომ შენ ხარ!

— მე ვარ. ეს სურათი ლილიმ გადამიღო. სწორედ იმ

დღეს მას ფოტოაპარატი აქვდა „მოპარეს“.

— მე რე?

— ის ფოტოაპარატი ახლა შენ გაქვს. ვახსოვს, მაშინ

რომ მაჩვენე? როცა შენ ვარეთ ვახვედი. მე დრო ვიხელ-

თუ და ფირი ამოვიღე, შემდეგ კი გამოვამუღანეთ და ეს

სურათი დაგებუქვით.

უშანგი სულმდა და გავკვირებული შემომძეკვროდა.

— აპარატი შენ მოიპარე, — ვუთხარი ხმადაბლა, — ხვალვე წაიღებ და პატრონს დაუბრუნებ. მისამართიც

მანდ არის, სურათზე; თუ გინდა, მე მომიცი.

უშანგიმ რამდენჯერმე შეატრიალა ფოტოსურათი ხელ-

ში, მერე წყნარად იკითხა:

— რომ არ მიუტუნო?

— მილოციაში წავალთ, — ვუთხარი მე, — იმ ფირსაც

წავიღებთ.

უშანგიმ მარცხენა ხელი მოიქნია და სილა გამაწნა. წა-

მით შევეტრტრმანდი. მერე განზე ვავებტი, ქვას ხელი ვტა-

ცივდა. მანქანის წინა

სარკმელს მოხვდა და

ჩამასვრია.

— დამასმენ, არა?

შე კინვლივანო!

დაიღრიალა უშანგიმ

და ჩემსკენ გამოქანდა,

მავრამ სინელივში რა-

ლაქას წამოვიღო და

მიწაზე გაიშლართა.

— აბა, სწრაფად! —

მომესმა გოჩას ხმა, —

ხელები გავუკრათ!

რამდენიმე წუთის

შემდეგ უშანგი შეკო-



ქილი იწვა მიწაზე. ჩვენ იქვე ვიღვით და ამაყად ვიღვებოდით. გოჩას და რეზოს ხელში კეტები ეჭირათ.

უშანგი წვალბით წამოვდა და გოჩასკენ წაიწია.

— არ გაინძრე, — უთხრა გოჩამ, — თორემ თავს ვაჩხეთებ ამ კერტს. ხომ ხედავ, ხელები შეკრული გაქვს.

— რა გინდო, თქვე ცინგლიანებო, — ახლა ხმადაბლა თქვა უშანგი.

— ზურამ რაც გითხრა, ხვალვე შეასრულე, — უთხრა გოჩამ და სურათი, რომელიც იქვე ეგვლო აიღო და ფრთხილად ჩაუღო ხალათის ჯიბეში, — ჩვენ ყველაფერი ვიცით და კიდევ თუ შეგინაშნო, არაფერი გიძველოს. უშანგი მანქანასთან მივიდა და ერთხანს დამსხვრეულ საბურთალოს უთხრა. ბოლოს ყრულ, გაბზარული ხმით ჩილა:

— კარგი... ახლა ხელები შემისხენით.

— გოჩამ კარი გაუღო და უთხრა:

— ჩაქვი.

— უშანგი საუკეს მიუჯდა.

— ხელებს ჭერ არ შეგიხსნით, — უთხრა გოჩამ, — იყავი ისე!..

სირბილით გამოვედით მთავარ ქუჩაზე. ჩვენ გამარჯვებული ვიყავით და იმდენად დიდი იყო გამარჯვების სიხარული, — ხელი სიარული არც კი შეგვიძლო. „ბრძოლის“ კმირი მე ვიყავი. ავი მე შევიტყუე უშანგი იმ ბნელ ქუჩაში. შეტაკებაში პირველმა მე მივლე მონაწილეობა და „პროლობაც“ მხოლოდ მე მერგო.

გოჩამ და რეზომ მაღაზიის გაქაჯაშებულ ვიტრინის წინ გამაჩერეს და ყურადღებით შემათვალიერეს. აღმოჩნდა, რომ მარჯვენა წარბი ოდნავ გამსივლიდა.

— არა უშავს, — თქვა გოჩამ, — შალე მოგიჩეხება.

არც კი ვგრანობდი ტვიცილს, პირიქით, — მიხარობა და ვამაობდი კიდევ ჩემი „პროლობითა“.

შემდეგ აუჩქარებლად გვემართებოდა შინისკენ.

უტყბ, რეზო შედავ. იქვე გვერდით, ქვის კვლეზე, საფოსტო ყუთი იყო მიკრული.

— წერილი? — იცითხ მან.

— ზო, მართლა.

გოჩამ ჯიბეში ჩაიყო ხელი და ნელა ამოიღო დაბუქებული კონვერტი. დახედა და ყუთში მოწონებით ჩაუშვა...

— როგორ ვაოცდება „ბატონი“ თეიმურაზო... — და მე მაშინვე წარმომიდგა თვალწინ თეიმურაზ გოგიტაშვილი, რომელსაც ახლახან მიუტანა ფოსტალონიზმა ჩვენი წერილი:

იგი მაგიდასთან დგას. ხელში წერილი უქირავს. იქვე ხედავდი კონვერტი გიბი.

დახედავა კითხულობს. ქალაღზე ლამაზად, გარკვევით წერია:

„შენ უჩინარნი ვართ, მაგრამ შენი ყოველი ნაბიჯი ვიცი. რაც მოგიბრავს, ყველაფერი ამ წერილის მიღებისთანავე დაუბრუნე პატაროს. გაძლევთ სამი დღის ვადას. მეოთხე დღეს თვითონ მოგაკითხავენ და ვერაფერი გიშველოს! პირველ რიგში — ის ფორტაპარატები, — კარადსი რომ გაქვს შენახული. ეს წერილი უშანგისაც წააბიოხ!“

ხელები უქანკალებს, წერილი ფარფატით ეცემა იატაკზე.

შემდეგ კარანას აღებს და ფორტაპარატებს მაგიდაზე აწყობს, ლოგინქვეშიდან დიდრონ ჩემოდნებს მოათრევს და იატაკზე აპირქვევებს...

— დიდებულა, — წამოიხდა ხმაშალა ოცნებაში წასულს, — დიდებულა!..

— და ვე ყველაფერი მე მოვიფიქრე, — თბობს გოჩა ამყალ, — თქვე კი მილოციაში მიჭერებოდი... ცოტა შენიც მიგობღვის წილი, — მომპაროა მე, — ეს ფრიალოსანი კი უნიჭო აღმოჩნდა.

— მე, — ბუზღუნებს თითქოსდა მეტრამეტად ნაწყვილ რეზო, — მე...

მეგრე უეცრად — მოწყვდით ადვილს და კისრიტებით გავეკანეთ ხალხით საესე ქუჩაში.

— ფესაც ვერ დადამს ჩვენს ეზოში... ფესაც ვერ დადამს! გასაგებია? — ამბობდა გაბზარებული მამაჩემი. კარებთან ვიდგე და ყველაფერი მესმოდა, ლოლის ხმადაბალი ტრიოლიც კი.

— მისი სოფლის კოლმურნებაში დავრეკე. თავსმევეული კაცია და ვერაფერი მოგუხერხეთო, — მისასუხეს. შინ მარტო დედა და უმცროსი მამა ჰყავს, მაგრამ მათი ჭავრი სულაც არა აქვს. მანქანა თაღლითობით იყიდა, ისე კი — ხმა დაავად, თითქოს ლატარის ბილეთით მოიგო... მიხვდი, ვინ ბრძანებულა ის შენი მეგობარი? შენ მანქანით სეირნობის გარდა არაფერი არ განიტერესებს. ის ბიჭი კი უსაქმოდ დაყალიბოს და, ვინ იცის, რით ირჩენს თავს.

ძალიან მიწოდდა გაესულიყავი და მეტყვა, — თუ რით ირჩენდა უშანგი თავს, როგორ წავასწარით ქურდობაზე; მაგრამ, რატომაც, ლოლი შემეცოდა.

მძიმე ფეხის ხმა მიწყდა. შემდეგ კარის კრილი გავიგონე. მამაჩემი კიბეზე ჩაიღოდა.

კარი შევიღე და შევედი. ლილი მაგიდასთან იჯდა და ფანჯარაში იცქირებოდა. თვალები ცრემლიანი ჰქონდა. მობრუნდა და შემთავალიერა, შემდეგ კვლავის საათს ახედა, წამოდა და ფარის უქან ჩაცმას შეუდგა. მერე ეზოში ჩავიდა და ქიჭურსაყენ გაემართა. მეც ჩავყვივი.

მამაჩემი ონკანთან იდგა და რეზინის მილს ამავრებდა ზეღ, — ალბათ ბაღის მორწყვას აპირებდა.

— იცი, სდ წაიღე? — მკითხა მან, როცა ლილი ჰეშკარს გასცდა.

— არ ვიცი, — მივუხე მე.

— არ იცის, — ბრახინად გაიმეორა მამამ, — შენ არაფერი არ იცი!..



მე კიბე ავირბინე, ხალათი გადავიცი და ლილის
დავედევნე.

ცა ღრუბლიანი იყო. მზე დრო და დრო უხალისოდ, უღ-
იმომოდ გამოიხედვდა ღრუბლებიდან, თითქოს ვილა-
ცას ძალიან გაუკავებიათ. ზღვა ამღვრეული იყო და
ხმაურობდა, უსიამოვნოდ ხმაურობდა და იფაფრებოდა.
თითქოს ისიც გაკავებულყო.

ლილი მერხზე იჯდა და ზღვას გაკუყვებდა. მეც მახ-
ლობლად ვიჯექი და ლილის ვადევნებდი თვალი. მე შე-
გონა, მან არ იცოდა, რომ იქვე ვიჯექი — რამდენიმე წა-
ბიჯის მოშორებით. უცებ იგი ადგა და პირდაპირ ჩემთან
მოვიდა, უსიტყვოდ მომიჯდა გვერდით. ერთხანს ვკუმ-
დი. ბოლოს ლილიმ მკითხა:

— ჩემს სათვალავლოდ გამოგზავნა? ასეც ვფიქ-
რობდი!

— არა, — მივუგე მე, — ჩემით წამოვედი.

ლილიმ ეჭვით შემავლო თვალი, მაგრამ არაფერი უთ-
ქვამს.

— არ გჯერა? ნამდვილად ჩემით წამოვედი.

ლილიმ ხმადაბლა თქვა:

— კაცს არასოდეს არ უნდა ჰქონდეს ხელი... შენ არც ისე
პატარა ხარ ახლა. კაცს ბევრი რამ უნდა აპატიო. უშანგი
ჩემი ამხანაგია მხოლოდ, და მეტი არაფერი. მამას კი
ჰკონია, რომ მისი მანქანით სიერნობა მაინტერესებს და
ამიტომ დაეუწყებოდა. უშანგი ისეთი ალალი ბიჭია,
ისეთი გულწრფელი... ხომ მართალი ვარ, არა? მე მგონი.
უშანგი არც ისე ცუდი ბიჭია, როგორც მამაჩემი ფიქ-
რობს.

— უშანგი ძალიან ცუდი ბიჭია. — ვთქვი მე, — ძა-
ლიან ცუდი!

— შენც ასე ამბობ? — გაოცებით წამოიძახა ლილიმ, —
მინც, რა დავიშავა ასეთი?...

— სილა გამაწნა, — მივუგე მე და მარჯვენა წარბზე
მოვისვი ხელი, — მაგრამ ეგ არაფერი, — უშანგი ქურ-
დია. ლუს ფორტაპარატი მან მოიპარა. სხვაჯე ბევრი რამ
მოუპარავს, ალბათ. მანქანა კი — ან ქურდობით აქვს წა-
ყიდი, ან...

მე დაწვრილებით ვუამბე ყველაფერი ლილის. როცა
მოყოლა დავამთავრე, იგი წამოდგა, ჩემთვის არც შემო-
უხედავს, ისე გაიარა ბალის ქოშკარი, ქუჩაში გავიდა და
პირდაპირ შინისაკენ გაემართა. მე უკან დავედევნე.

— ხომ ხედავ. — ვუთხარა, როცა დავეწიე, — შენ კი
გეგონა...

ლილის ყურადღება არ მოუქცევია ჩემთვის. თითქოს
არაფერიც არ გაუგონიაო.

მე შევჩერდი, უკან გამოვბრუნდი და ბაღში შევედი.
მერხზე ვიჯექი და ზღვას გაკუყვებდი. რომელიც ისევ
ისე პირქუშად ხმაურობდა და იფაფრებოდა.

ვიჯექი და ოცნების თვალით ვხედავდი:

ნელა წყნარდებოდა ზღვა. იფანტებოდნენ ღრუბლები.
მზე, წითელი მზე კეკლუცად იხედებოდა ზღვის ლურჯ.
უსაზღვრო სარკეში და იციწინდა.



მ. ბაღვაში: ვინ იქნება ისე
ნათლმზილველი, როგორც ღე-
და...

ნ. ბარბაქაძე: პოე. დედა-
ნი, მარად ნეტარნი, კურთხევა
თქვენდა, ტკბილსასოფარნი!

ბ. გმლისტი: არაფერი არაა
დედის სიყვარულზე წმინდა და
უანგარო, დედის უზენესი ბედნი-
ერებაა. გბედავდეთ თავის გვერ-
დით, და იგი თქვენ გგზავნით იქ.
სადღე მისი აზრით, სისარულს
იგრძნობთ: დედა მზადაა, სამუდა-
მოდ დაგმორდეთ, ოღონდ თქვენ
ბედნიერი იყოთ.

ბ. გმლისტი: ვასაოცარი ფაქტია,
რომ გენვის აღმოჩენა უმრავლეს
სომხს შესწავლავი დედები ჰქაფ-
და, და რომ, გენოსებმა გაცილ-
დით მეტი რამ შეიძინეს თავიანთი
დედებისაგან, ვიდრე — მამებისა-
გან.

მ. გორკი: ვადილოთ ქალი
ვადილოთ დედა! — ყოფილს შემ-
კლე სიცოცხლის უშრეტელი წყარო...
...ვადილოთ ქალი — დედა, ვის სი-
ყვარულსაც არა აქვს საზღვარი,
ვის მუხუსაც მოვლი მსოფლიო
გამოუწრდია.

ნ. ნიკარასოვი: ჩვენ გვიყვარს
დაი, ცოლი და მამა, მაგრამ
ტანჯვის დროს ვიკონებ დედას.

მ. შიშკოვი: დედის ბედები სი-
ნაზის განსახიერებაა: ბავშვებს
კარგად სწინათ ამ ბედებს.

მ. ვაბლივი: ვადილებთ მარად,
ვადილებთ მარად იმ ქალს, რომე-
ლსაც ეცხებით — დედას.



გიორგიანი
გრიგოლიძე

უკონკრეტო „აოსა“

დენინის მუზეუმში ექსკურსიანთა ვაჭუფი მოვიდა.

თბილისის სამოცდამეექვსე სკოლა ინგელსის ქუჩაზე მდებარეობს, ლამაზი, სამსართულიანი, წითელი აგურით ნაგები შენობაა.

ავათვე თუ არა პირველი სართულის კიბე, იქვე, მარცხნივ, პიონერთა ოთახი დამზალა.

პიონერთა ოთახი სავსეა მოსწავლეებით. ხუთიოდე წვეილი ჭადრაკს უზის, დანარჩენები დგანან, თამაშს აღდგენენ თვალს.


— უფროსი პიონერელმძღვანელი არ არის?

— ახლავე მოვა, — ამბობენ ბიჭები და სკამს მთავაზობენ, მაგრამ დაჯდომას არ ვაპირებ, გარეთ გამოვდივარ. გამომყვა ერთი ყმაწვილი, ისეთი, რომლის მსგავსის ნახვა ყოველთვის დიმილს იწვევს ხოლმე, — ბუბიულა, კეიილი და მხიარული.

— მე დაგეხმარებით ხელმძღვანელის მოძებნაში; ან სამასწავლებლოში იქნება, ან კლუბში, — მორიდებულად შემომთავაზა თავისი სამასხური.

— რა გვქვია?
— ვაჰანი.

- რომელ კლასში სწავლობ?
- მერვეში.
- პიონერი ხარ?
- არა, ახლახან შევედი კომკავშირში; სულ ერთი კვირაა, რაც მანდატი მივიღე, — შემომცინა ვაჰანმა.
- ეს რა გაგვირავთ აქ? — ვგვითხები, და ვათვალისწინებ სტენდებს, რომელთაც კიბის თითქმის მთელი კედელი დაუკავებიათ.
- ჩვენი სკოლის პიონერები რაზემე უღებენ საკავშირო დათვალისწინებებში ჩაებნენ. ესენი — ვალდებულებებია.
- საინტერესო საკმეები შეგიჩვენათ, თუ ქაღალდზე არ დარჩა!
- რატომ გგონიათ? — იწყინა ვაჰანმა.
- შეხედეთ „გონებამახვილთა ტურნირის“ პუბლიკებს. პირველ პუბლიკაში ნათქვამია: „ჩამოვყავილივით მზია-



რულთა და გონებაზავილთა კლუბი“.

— კლუბი უკვე მუშაობს. დღეს მეექვსე პირველ და მეექვსე მეთხუთს კლასის შორის ჩატარდება პირველი ტური. თუ დაგვეწყობით, გავგვარდებით. ვაჰანის დახმარებით, დაწვრილებით ვცემთ ვალდებულებების პუნქტებს, განსაკუთრებით — „გონებაზავილთა ტურნირისა“.

— კოსმონავტის დღესთან დაკავშირებით რაზმეული სასკოლო პარადს ჩატარებს. მოწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების დიდი გამოფენით; პიონერების ისაუბრებენ კოსმოსის ათვისებაზე, ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევებზე, — მისწინს ჩემი მგზური და შემდეგ პუნქტებზე მითითებს.

— საურბები პიონერულ კოფთან, — ესეც საინტერესოა. განზრახული გვაქვს სწავლულებისა და სელოვნების გამოჩენილი მოღვაწეების მიწვევა. კოცონთან, გულთადა საუბარში, ბევრ ახალ შევეტყობთ.

— პიონერული ტელევიზორი რაღა?

— სიმართლე გითხრა, ზუსტად არც მე ვიცი; უფროსმა პიონერებმდღევანელმა გეითხრა, — როგორც ზეპირი ეურნალები და გახეთქილი გეყვობა, ასე მოეწყობა პიონერული ტელევიზორი.

— საყურადღებო! აბა, ენახოთ შემდეგი პუნქტები.

— სხვადასხვა კონურსების ჩატარება, სახალისო მიზლოთეიკის შექმნა“; — ვკითხულობ მე. ვაჰანი მისწინს, რომ

სახალისო ფიზიკის, ქიმიის. მათემატიკის, ბიოლოგიის ლტერატურის შეგროვებას აპირებენ.

ვალდებულებების კითხვა შემწყვეტით და მაღლა ავიდით.

პიონერულმძღვანელი არც სამასწავლებლებში აღმოჩნდა.

— თუ განიტყურებთ, კიდევ გირვენთ ერთ სტენდს, — მეუბნება ვაჰანი და მისაღწე სართულზე აყვავარ. წინდის აქაც მთელი კედელი უყავია. ნაირფერი ყელსავეყვი აფენია ზედ: წითელი, ცისფერი, ჭრელი...

ვაჰანმა სტენდის ქვემოთ მიგრული ჯიბაკებიდან რამდენიმე კორსაონდენცია ამოიღო და გადმოშტა. ვხსნი ერთ-ერთს, ვკითხულობ: „გვერდნელ ბავშვთა პიონერული ორგანიზაცია ერნსტ ტელმანის სახელობისა; ტელმანელები ატარებენ ცისფერ ყელსავეყვს, რომელიც გვირმანელი ახალგაზრდობის კავშირის ცისფერი დროშის ნაწილს წარმოადგენს“. შემდეგ დაწვრილებით წერია პიონერული ორგანიზაციის აგებულების თავისებურებებზე, მის წარსულსა და აწმყოზე.

— აი, იმ დერეფანში ლენინის მუზეუმი, — შენიბის სიღრმისეენ მითითებს მგეზური.

— ყველაფერი გარეთ გამოტიკანიათ.

— ცუდაა?

— არა, პირიქით, სელომისაწვდომია — როცა მოსურვებთ, მამინ ნახათ.

— თითოეულ სტენდს ექსპოზიციამდლონი ჰყავს მიჩენილი. აქ მოდიან

ასაღმიდებული პიონერებიც, კომკავშირში შემსვლებიც; სწავლულები დიდი ბოლასი ბიოგრაფიას; მუშეები ახალი მასალებით შეიგებნა და გამდიდრდება; — ამბობს ვაჰანი. შემდეგ მიაშობს ტრეტიაკოვის მცირე მუშეების შექმნის საინტერესო ისტორიას. მიაშობს იმასაც, რომ განზრახულია მისი გამსწვლევა და სახვითი ხელოვნების სასკოლო მუშეუმაღ გადაკეთობა. დათავიერების პუნქტების მიხედვით განლაგდება ექსპონატები; შვირჩევა საბრძოლო დიდების ასსახეული რკინოდუქციები. „ლენინის ანდერძის კვალდავალ“ და „შვიდობის მსოფლიო მარშს“ დათმობა ცალკე კუბუბი...

პიონერულმძღვანელი კლუბზე არ დაგეგმა. ვაჰანმა პიონერთა ოთახამდე მიმაცილა და შინ წავიდა, რომ ისევე ჩქარა მიბრუნებულიყო. შობამდილებით დატვირთული ებრუნდები მოგატარაკებთან. პიონერულმძღვანელი ვალდობა ორქოზე თითქმის ფეხდაფეხ შემოიყვანა, — მაღალი, პირნელი ახალგაზრდა. მან უმამყოფილოდ გადახედა მოპაქრეებს.

— ტურნირი კლუბშია დანიშნული, აქ რატომ თამაშობთ?

ყველაზე გარეთ მიილაღებანს. ვხსნდით მაგიდასთან, ვსაუბრობთ პიონერული რაზმეულის ავკარზე... უეცრად, კარებში ბურიერიტი შემოიჭრა გოგონების ჯგუფი; აქაქმანდენ, კაცი ვერავისს გაუგებდა; მაგრამ, ტყყოლობა, ვალდობა ყველაფერი უქმოდა, მშვიდობა იჯდა და თავის ესწვება მათ.

— ისინი ვარჯიშობენ, ჩვენ კი — არა. ჩავფაღვლებით, — ამბობდა კარინე, მეექვსე პირველი კლასის რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.

— ივარჯიშეთ, ვინ გილოთ? — უთხრა ვალდობამ.

— ჩვენი კლასის ხელმძღვანელი ავად გახდა, პატრონი არა გყავს, რომ გვაგარჯიშოს ვინმე.

— თქვენს თავს თვითონვე უპატრონეთ.

ბუზღუნით დატოვეს ოთახი.

— ესენი მეექვსე პირველკლასელები არიან, ეკონებაზავილთა ტურნირის“ ატარებენ ამ საღამოს.

— რაზე დავობდნენ?

— ტურნირის პირობები ცეკვასა და სიმღერაში შეჯიბრსაც ითვალისწინებს.



რაზმეულის საბჭო ვულდასიმო ადგენს ტურნირის კითხვარს.

ცოტა წაყარვიშება უნდოდათ, როგორც ამას მათი მტოტოქები აკეთებდნენ—მასწავლებლის უხდამხედველობითა და სხელმძღვანელობით.

— რატომ არ დაეხმარეთ?
— მიეჩვიონ დამოუკიდებელ მუშაობას.

კარები კვლავ გაიღო. შემოვიდა ვაჰანი, შეხვეული რაღაცეები და თოკი ეჭირა.

— სელმძღვანელო, დღევანდელი ტურნირი ცირკს დაეხმავსება; იმდენი ოთხი მოვიგოთ, რომ ბავშვები სიცილით დაწყებდნენ.

მაღე ქირის მთელი შმახდგენლობა მოვიდა: მხოტე უფროსი პიონერსელმძღვანელი ნატასა ლიხინესკაია, მერვეკლასელი ანჟელა და რიმა, მემვიდუეკლასელი მარინე.

საუბარში დრო გავიდა. მალა ავდივართ. კლუბში საჭადრაკო ტურნირი დამთავრებულიყო. უფროსკლასელები წასულიყვნენ; კლუს თავის სახე დაბრუნებოდა, — წედანდელივით როდღი იყო მაგიდებით ჩახერგილი, სკამები გაუწყკარებინათ და რაზმებს თავთავის ადგილი მოუნახათ.

კარებთან როგორღაც შემოგვეფანტნენ ყველანი და მარტო მე და გალოდა მუერჩრით ერთმანეთს. ვალოდიამ

მული იდგა, მაგრამ მაინც დაძაბული ჩანდა დარბაზში.

კლუსის კარები გაიღო. გამოჩნდნენ ქირის წვერები, ადგილები დაიკვივს სცენაზე. თავმჯდომარემ, ჩვენმა ნაცენამა ვაჰანმა, ერთხელ კიდევ გამოცხადა პაეჭრობის პირობა. ვაჰანსა რაზმებს თავითანი სიმბოლური სახელწოდებები: „ფროთოსანთა მოდგმა“, „აიოსი“.

— ფროთოსანთა მოდგმა“ იკისებდა დარბაზის მარჯვენა მხარეს, „აიოსი“ კი — მარცხენას, ხოლო მყურებლები უკან გადადიან, — იძლევა თავმჯდომარე კენჭარეულებას.

კენჭისყრით, პირველი შეკითხვა „ფროთოსანთა მოდგმას“ ხელა წილად. ვაჰანმა ხმამალა წაიკითხა წიგნობა. რამდენჯერმე გაიმორხა. მიხებულად უბასუსეს. ხუთი ქულა მოიპოვეს. დადგა „აიოსლების“ ჯერიც, არც მათ ჰგამეს სირცხვილი.

— რომელ ქვეყანაში მიედინება დუნი? „აიოსლები“ სხაპასხუპით პასუხობენ:

— გერმანიაში, ავსტრიაში უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, საბჭოთა კავშირში, რუმინეთში, იუგოსლავიაში, ბულგარეთში.

— უუ, რა ადვილი შეკითხვა შევხვდით! — შემურდათ მოჭრებებზე.

— ვინ დაწერა ლერმონტოვის „ყაზახური ნანას“ მუსიკა?

— ვინ აღმოაჩინა ანტარქტიდა, და რა ერქვათ ხომალდებს, რომლებიც პირველად მივიდნენ იქ?

— სხეულის წონა სხვადასხვა სიმაღლესა და განეხუ?

— გამოიწვარით ვინა ავურისა, რომელიც სასწოროს ერთ მხარეზეა მოთავსებული და წონასწორობაში მოჰყავს გირა, რომელიც ნახევარ კილოსა და აგურის სამ მეთხებლს იწონის!

საზრინობა, ნაკითხობა, გავლილი მასალის საუბედიანი ცოდნა საჭირო ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, გეოგ-

რაფის, ლიტერატურის საკითხებზე საპასუხოდ. „ფროთოსანთა მოდგმა“ და „აიოსლები“ თავს აწონებენ დამსწრეებსაც და ქირის წვერებსაც. ქულათა რაოდენობა ხშირად მერყეობს, ხან ერთია წონი, ხან — მორეო.

მიმდინარეობს შეჯიბრი მხატვრული კითხვები.

მეექვსე მეთხე კლასის რაზმის საბჭოს თავმჯდომარე კითხულობს მ. ლერმონტოს ლექსს „პოეტის სიყვარული“. ყალბმა პათეტიკამ და სცადონმა ინტონაციამ თამარს ვერ ვაამარჯვებინა. „აიოსის“ ხუთი ქულა დააკლდა.

სცენისაგენ ჩვენი ნაცნობი კარინე გარბის, ხელეებს იქნეს, ამხანაგებს ამხნევებს, — არ შევინათო. კარინემ მართლაც მხატვრული ისტატობით წაიკითხა ე. ბაგრიცის ლექსი „პიონერი გოგონას სიყვარული“ და გამარჯვებულად მოუტანა თავის რაზმს. დარბაზში ხმაური ძლიერდებოდა. როგორც მონაწილენი, ასევე მყურებლებიც ვედარ ერევიან საკუთარ განცდებს. ვაჰანის მიერ გამოხილინმა ხუმრობამ განსაკუთრებულად გაამხარავლა დარბაზში მყოფნი.

— ერთი, ორი, სამი... — დაიხარნენ. „აიოსელმა“ მოახერხა შეჭმა, მაგრამ მისმა მტოტოქემ შევილო უფრო შესანსლა, ვიდრე მარმელადი, თავივით ამოიგაზდა ფეტიკში და ცხვირის ცემინება აუტყდა.

ხარხარებდა დარბაზი. ჯერი ცქეპაზე მიდგა. თავიდანვე ფეხი აურიათ „ფროთოსანთა მოდგმის“ წარმომადგენლებს, ერთმანეთს ეჯახებოდნენ; იძლეუბული გახდნენ, ძირს ჩამოსულიყვნენ.

— ხომ გუებნობით, ჩავფლადებთ-მეთქი, — ნიშნს უტებდა კარინე ამხანაგებს.

კიდევ რამდენიმე შეკითხვა მისცეს მოპაეტრებებს. ტურნირი დამთავრდა. ქურუმ შედეგები შეაჯამა. 75:70. გაიამარჯვა „აიოსმა“. ქედს ტურში ისერიან მიექვსე მეთხე კლასელები...

ვაჰანი კვლავ დამეგზავრა. გაიხარა, როცა მოვუწონე ტურნირი.

— ეს მხოლოდ დასაწყისია, სხვებს უტეუქსად ჩავატარებთ.

— წარმატებებს გისურვებთ, ვაჰან!..



ქირის წვერები—რიმა (მარცხნივ), ვაჰანი და ანჟელა კვლადავიფინე ტურნირის შედეგებზე.

ადვილამდე მიმაცილა. თვითონ კი მომოგუენე დარბაზს მიუბრუნდა—ბავშვებს აწყარებდა; მხიარული ჟრია-

ნოკო ნოკაიქი

ფოტო ღაპით იაოთაავისა



ია
 ენებ ინე მახინე ვარ,
 გამოჩნდა არ ღირს ჩემი.
 სჯობს ამ ბუჩქში შევაუფრო,
 საშუალო ამ ღვარამბო.

(მღერის)

ვინ არ მიცნობს იასა,
 ციქვან გოგონასა,
 გამოჩნდები ბუჩქის წინ,
 ცას შეგხარი მზიანსა.

(შემოდის ნაკადული)

ნაბადული

ჩუბ-ჩუბი ჩუბ-ჩუბი მოგჩუბნებენ...
 აქით ვუბვივ, იქით ვუბვივ,
 ვრწყავ ყვავილებს, ბუჩქებს, მუხებს,
 წყურვილს ვუღვავ მერცხლებს,

შურბობებს.

ჩუბ-ჩუბი ჩუბ-ჩუბი მოგჩუბნებენ...

(გაღდის)



ია
 რისთვის ყვირის, წეტავი,
 ან რა ხმა აქვს — ღრიალი.
 აქ ვის ეძებს, რა უნდა,
 რატომ ჩამოიარა?

(ტირის)

მნემულა

დახეო, ეს ვინ გვწვევია,
 (ყვავილები იას თავზე დასცქერიათ)
 წილოვ ვეღარ იცანო!

ჩიბინსაბა

ვერა...

მნემულა

ეს ხომ იაა,
 მწვანე ბუჩქის ხიზანი,
 ღურჭთვალა და ტანია,
 მიწას არც კი აჩნია...

ჩიბინსაბა

ტირის!

ზაზრანა

ტირის!

ჩიბინსაბა

დახეო,
 ცრემლები აქვს სახეზე!

მნემულა (იას)

რა გატირებს, ლამაზო,
 ყინვამ ხომ არ დაგაზრო?

ია

არა... მაგრამ, იციო რა...
 მტკვით... ყინვამ კი არა,
 წინაღ ვიანაც ღრიალამ
 გვერდით ჩამოიარა,
 ჩუბ-ჩუბ, ჩუბ-ჩუბ, ჩუბ-ჩუბო, —
 ასე ჩაიჩუბნება.

(ყვავილები იცინიან).

მნემულა

ნაკადული ყოფილა,
 კეთილია, ნუ წუხუხარ.

ზაზრანა

ჩვენ არაღერს არ გვერძის,

ჩიბინსაბა

ფსევებს გვირწყავს, პირიქით.

მნემულა

ლამაზია საცქერლად
 მისი ღურჯი ბილიკი.
 შენც ლამაზი გოგო ხარ,
 რა გაქვს დასამალავი.

ზაზრანა, ჩიბინსაბა

შენისთანა კოპწია
 არ გინახავს არავინ.

ია

(გაბარებული)

მე კი ვწუხდი, მეგონა, —
 უწონო ვიყავ თვალ-ტანად;
 თქვენს სიმღერას ვისმენდი,
 გული ჩამწუღა პატარას.
 ამ გაფარჩხულ ბუჩქიდან
 გამოსვლავ კი არ მსურდა,
 მაგრამ ვხედავ, ეს შიშით
 სიწმირით დასრულდა.

მნემულა

გულში როგორ გაივლი
 ამისთანა ეჭვები!

ზაზრანა (ეფერება)

ღრო გაივლის და შიშაც
 მაღე გადაიჩევივ...

ჩიბინსაბა

ჩვენთან ყოფნა, ძვირფასო,
 ისევე შეგძენს მხნობას.

მნემულა

ახლა წეისი გამართავთ,
 გადავბღობი დღეობას.

ზაზრანა (ტაშს შემოკრავს)

რა კარგიაი რა კარგიაი
 სუფრაც აქვე გაეშალოო...

ჩიბინსაბა

მინდვრის გოგო-ბიჭებიც
 მოვიწვიოთ საჩქაროდ.

ია

კარგი, რა საქიროა!
 (წმეღს)

ნუ წუხუხობი, დობილო.

მნემულა (ყვავილებს)

რალს დღეხართ, ღრო არის,
 ნიავს შევატყობოთ.

(ჩიტისთავი ტაშს შემოკრავს, შემოდის ნიავი)

მნემულა

აბა, ჩქარა, ნიავო, ცელქო ბოუნიაო,
 დაურხინე ველ-მინდვრებს, უღარან

ტყეებს ირადი,

და შორს მცხოვრებ ყვავილებს,
 გადავიც რასაც ვისოვ;

ნიაში

რა გაღვამე?

ზაზრანა, მნემულა, ჩიბინსაბა
 ბუჩქნარში ია დაიხადა-თქო...

მნემულა

ყოჩივარდას, ქართულ წამბას,
 და გვირგვინს — თეთრ გოგონას,
 ნაწ კესანეს იცნობ ალბო,
 ქუთქუთას და ქონა-ქონას,
 ყველას, ყველას გადავიც, —
 მოხრძანებებს ვინც ისურვებს;
 ციციურას, ხარისძირას,
 ღვინას და ფურსულდებს,
 რომ კვლავი, ბუჩქის ახლოს,
 ელის ჩვენი საშოსხლო,
 (ნიავი გარის. ყვავილები სუფრას შლიან).



ნაწილი მორაბი

სპირაბი

დატრიალდა ცდილი ბები,
 გზას გაუღმა ჩქარი ფრენით.
 მზე ვიდრემდე შეიძეს იქით
 ჩავიდგა ჩაღოსდური, —
 ოსობე მხარე მოიჩინა,
 არ დაუყნადა გზაზე დიდხანს.
 საწეიმოდ მოგვლითო, —
 ყველა ნაცნობს მიაკისხა.
 წამოვიდნენ ყვეალები
 და გზადგმა ვინც კი შეხვდათ:
 — ჩვენც წამოვალთ ჩვენც წამოვალთ —
 აყვირდა ყველა ერთად.
 ვაიშალა, როგორც ნიხლი,
 იქ — პეზლები, აქ — ფუტკრები.
 მოდიოდნენ, მოხუროდნენ,
 ფრთხილ ეწეოთ საჩუქრები...
 და სულ მალე, მწვანე ბუჩქთან,
 ყველა სუფრას შემოუსხდა.
სტუმრები (ის უმღერაინ).

აჲ, შენა ღანახვან
 გული ვაგვიხალისა,
 მუღამ უხვად გეფოსოს
 სხვი მზის და მთავარისა.
 იაო, ია-იაო,
 თავი რად დავგებოაო?
 შენი გამჩენის გარამე,
 სხეულე კიბბა გვეაო.

მნძილა

შენ რად ხეღუმეარ, წამახხო,
 მითხარ, რატომ არ მღერი?
წამახხო
 ეხ, რა ვიცო, ჭაგრისგან
 შემოსაწვა ნადღელო.

წამახხო

რა ვღარღებხ, ღაია?
ჩინისთავა
 ვაგვიმოიღე, რა ვინდა?
წამახხო

წამახხო

იქნებ რამე გეწენია?
მნძილა
 გვითხარ...
წამახხო

წამახხო

მომწული თავიდან
მთირი შხაპილი
 ასე როგორ მიმართავ
 შენე უფროს მეგობარს?
წამახხო

წამახხო

შენ რა ვინდა?
მთირი შხაპილი
 ნუ გვარცხვენს

მნძილა

კარგი, კარგი, გეყოფათ
წამახხო
 რად ვაჩუმილი, სტუმრებო,
 გულგაა თუ ნადიმი

მნძილა

მერე, მერე იმღერეთ,
 ჭერ მიირთვით სადილი!



ჩინისთავა
 კორჩობავ, შენც ჭამე,
 არ შეგდგერის სიმორცხვე...

მნძილა

უფრო უფრო თამაღას!

წამახხო

ია-ქალა, იცოცხლი
 ეს საამო სურნელი
 არ მოაკლდეს ამ მინდვრებს.
 ღამე — ცვარ-წამს ვისურვებ,
 ღღე — სულ მზიან ამინდებს.
 ნურც გვენახოს წურასდროს
 შენი ღუგე გამხმარი.
 სულ ასეთი იყავი —
 ხახხასა და ახალი.
 მე კი შენს დასაცავად
 მუღამ მზად მაქვს ფარ-ხმალი.
 ია-ე...

(კიდევ აბირებს რაღაცის თქმას)

პაპილა

გეყო, ფუტკარო,
 ახლა მეც მაქვს სათქმელი!

წამახხო

ეხ, სასმელით კი არა,
 იის ცქერით დავთყვრა.

(სეგას)

მთირი

შეხეთ, შეხეთ თამაღას!

წამახხო

ხა-ხა ხა-ხა ხანცალებს!

წამახხო

იმიტომ რომ, სასმიხი
 სულ ძირამდე დავცალე...

მთირი

იუ, რა ტყბილი რამ არის,
 ჩით მზადღება ნეტავი?

წამახხო

ყვეალების წვენია, —
 ყვეალების ნეტკარი.

პაპილა (ის)

შენისთანა მარგალიტს
 განა სადღე შეგვტყუებთი?
 ჩვენს მწეთუნახავო...

წამახხო (ხაღაბლა)

შენ ვაგვიხა ეს ფრთხიბი!

კორჩობავ

რაო, რა თქვე, წამახხო?
 ასე რად იწვეილები?

მთირი

ღამე, თვალთ შერისგან
 ამოცხო ცრემლებით.

წამახხო

სულ ამ ყვეალებს რომ აქებთ,
 თქვით, რა გახდა ეს ია?

წამახხო

იას ვუბლით დღეობას,
 და ეს სუფრის წესია!

წამახხო

სუფრის წესი მეც ვიცი!
 რას მასწავლით ნეტავი.

წამახხო

თქვენი უპრო, ცუდი ვარ,
 უწეო შესხებავი?

წამახხო

ახა, იას რომ აქებთ,
 მე ნაკლები რითა ვარ?

წამახხო

შენც კარგი ხარ, წამახხო,
 რომ არ იყო დღეთავი?

წამახხო

ხა-ხა ხა-ხა ეს რა თქვა!

კორჩობავ

მართალია, მართალია
მნძილა

მნძილა

იას როგორ ეღერება
პაპილა

პაპილა

უყვარს ენის ჭარტალე...

ჩინისთავა

ყოულირინა!

წამახხო

ღოდგულა!
წამახხო

წამახხო

მა, დიდგულაც ვამხადეთი,
 მტრებთან ვჭადარვარ სუფრასზე,
 რად ვერ მივხვდი აქამდე!
 (დგება წასასულიად)

მთირი

კარგი, ღაო, დამწვიდელი!

ზამზახი
 შინ მივდივარ, გამოიწვიო
შუბტარი
 ოპ, ახეთი სიფიცხე
 არ შეგფერის ქალიშვილს.

ზამზახი
 გზაი გზა-მეთქი
მამულა
 არ იშლი?

ია
 დარჩი...
ზამზახი
 არაი გამოიწვიო
 (ამ დროს ნიავი გამოხტება და წინ დაუღ-

ენიპი
 დოღს დაქარაო, აბა, ჰეი
 თან სიშურაც დახსებეთ!
 (ზამზახს გამოითამამებს)
 ტაში ტაში გოგონი
 გამოგოვდი ცეცხოთა!

ჩეღლბს თუ არ გაშლიო!
 (ზამზახი მართლაც გაშლის ხელებს და ჩა-
 მოუღვლს)

ცისმავლი
 ისე უთხრა — უხსილად,
 ის კი მართლაც დაშინდა...

ია
 რა ლამაზად ცეცხავანი
შურსულა
 აი, შენმის ქალ-ვაფი!

შუბტარი
 რა ვქნა, ჩემო ბეზულავ,
 მეც მომინდა თამაში.
 (გღაბტება და ზამზახსა და ნიავს შუა ცე-
 კვავს)

შუბტარი
 გამოფიფიანი იახო,
 ციციწა გოგონიასო,
 ჩვენ ვაქოხებთ ცეცხავში
 ზამზახსა და ნიავსო...

(ფურცარი ის საცეცხაოდ გაიყვანს. ისმის
 ტაშისა და დოღის ხმა. უცებ, მწვანე ბუჩ-
 კიანი თავს ამოყოფს ძუნძულა დათვი.
 ეტყობა, მფერაობა. ყველანი ისე არიან გარ-
 თული ცეცხა-თამაშით, რომ დაღეს ვერ ამ-
 ჩნდვენ. გაოცებული დათვი კი თავს აყო-
 ლებს მოცეცხავე წყვილებს. ყირაზე წამოვა
 და შუა მინდორზე დაქდება)

ვინ ხართ ჩემსთანაო?!
 (ბუღვის. შეშინებული სტუმრები გაოფნე-
 ტებიან)

ენიპი
 თავს უშველო, არიპა!

ია
 ეს ვინ არის?!
მამულა
 ნაცეცხებით ვაქცივი,
 თუკი წამოიწვია. (გარბის)

ზამზახი
 ევაფიღებო მიშველოთ!

ია
 სად ხარ, დოღ ენძაო?!
შუბტარი
 ჩუმად იყავ, დაწმარდი
 აქ არა ვარ შენს მცეცხლად?

ია
 ჩემსკენ მოდიხ, ვერ ხედავო?
 დახტოვან და გამაქროხხ... (ტრირის)

შუბტარი
 იქით, იქით, ძუნძულავ,
 (წინ გადაიღობება)

თახ ხელი არ ახლიო,
 შენ კი გახწი, ნიავო,
 საფუტკრისკენ აჩქარდი
 მოგვაშველოდ დაშქარი...

ენიპი
 უჯი მივქრი... (გარბის)

ლათში
 ჰე, ვნახოთ,
 რა გულადიცი ბრძანდები.

